საყოფად გატარებულ ზომებში უნდა განხორციელდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალების ჩართვაც.

მოწინავე ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის გაზრდა: ტექნოლოგია და დამხმარე საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და მამაკაცთა საკვანძო შესაძლებლობებია. დამხმარე საშუალებებზე წვდომას და მოწყობილობებს შეუძლიათ დადებითი ცვლილებები შეიტანონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა და მამაკაცთა ცხოვრებაში, ტექნოლოგია ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჩართულობის პროცესის განვითარებაში.

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისა და ლიდერობის უზრუნველყოფა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები როგორც წესი არ არიან წარმოდგენილნი ხელმძღვანელ თანამდებობებზე, სამთავრობო და საჯარო, ასევე კერძო სექტორში და შეზღუდულ შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ან ქალთა მოძრაობებში. შესაბამისად ამ ამოცანის განსახორციელებლად გატარებული ზომები უნდა იყოს ინკლუზიური და მოიცავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსაც.

- სქესობრივ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და რეპროდუქციულ უფლებებზე უნივერსალური წვდომის უზრუნველყოფა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და გოგონები საზოგადოების მხრიდან აწყდებიან უარყოფით დამოკიდებულებას რაც გამოწვეულია შეზღუდული შესაძლებლობებისა და გენდერის ურთიერთკვეთით. თავის მხრივ ეს გავლენას ახდენს მათ მიერ სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობით და უფლებებით სარგებლობაზე, ოჯახის შექმნის უფლების ჩათვლით.

წყარო იხილეთ აქ :
https://www.cbm.org/news/news/news-2016/sdg-5-gender-equality-and-disability-inclusive-development-in-the-sdgs/

ლიფლეტი მოამზადა შეზღუდული შესაძლებლობის ქალთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ „ქალი და რეალობა“ პროექტის ფარგლებში - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა ქალები მდგრადი განვითარების მიზნებისათვის - კანადის ფონდის / ადგილობრივი ინიციატივები GFLI / დაფინანსებით.

ავტორები:
თამარ მაჭარაშვილი; თამარ მაღლაკელიძე;

საკონტაქტო მონაცემები
ტელ. + (995 32) 266 18 04;

ელ.ფოსტა:
womanandreality1@gmail.com;
https://www.facebook.com/wandr.ge/

Activity supported by the Canada Fund for Local Initiatives
Activité réalisée avec l'appui du Fonds canadien d'initiatives locales
Canada

ქალი და რეალობა
WOMAN & REALITY

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი (SDG 5)

მდგრადი განვითარების მიზნები SDGs

2015 წლის სექტემბერს გაეროს 193 წევრი ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის“. ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას.

ახალი მიზნები წარმოადგენენ გაბედული მდგრადი განვითარების დღის წესრიგის ნაწილს და ორიენტირებულნი არიან მდგრადი განვითარების სამ ურთიერთდაკავშირებულ ელემენტზე: ეკონომიკური ზრდა, სოციალური ინკლუზია და გარემოს დაცვა.

მდგრადი განვითარების მიზნები და ამოცანები გლობალური ბუნების და უნივერსალური გამოყენებისანი არიან, რადგან ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს. ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არ არიან - მათი განხორციელება ინტეგრირებულად უნდა მოხდეს.

მდგრადი განვითარების მიზნები არის შედეგი სამ წლიანი გამჭვირვალე მონაწილეობრივი პროცესისა, სადაც ისმის ყველა დაინტერესებული მხარის და ადამიანის ხმა. ეს არის უპრეცენდენტო შეთანხმება მდგრადი განვითარების შესახებ 193 წევრ ქვეყანას შორის. გადაწყვეტილება მდგრადი განვითარების მიზნების შემუშავების პროცესის დაწყების შესახებ მიღებული იქნა გაეროს წევრი ქვეყნების მიერ, გაეროს კონფერენციაზე მდგრადი განვითარების შესახებ (რიო + 20), რომელიც 2012 წელს რიო დე ჟანეიროში ჩატარდა

მართალია, გენდერული თანასწორობის ელემენტი ყველა ამ მიზანშია გათვალისწინებული, თუმცა, მე-5, როგორც ცალკე მდგომი და დამოუკიდებელი მიზანი, უშუალოდ „გენდერული თანასწორობის მიღწევას და ყველა ქალისა თუ გოგონას გაძლიერებას“ ეძღვნება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები და მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი (SDG 5)

მდგრადი განვითარების მე-5 მიზანი, რომელიც ფოკუსირებულია გენდერული თანასწორობისა და ქალთა და გოგონათა უფლებამოსილების საკითხზე, საკვანძო როლს თამაშობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონების სხვადასხვა შესაძლებლობების შექმნაში, რათა მათ სრულად მოახდინონ საკუთარი პოტენციალის რეალიზება. მე-5 მიზანი მოიცავს თავისთავში ასევე რიგ ამოცანებს, ქვემოთ ჩამონათვალი კი მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს ამოცანები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებს.

- ყველგან დასრულდეს ყველა ქალისა და გოგონას დისკრიმინაცია: დისკრიმინაციის პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისა და გოგონებისთვის. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მამაკაცებთან შედარებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსა და გოგონებს აქვთ სწავლის დასრულების უფრო დაბალი დონე. აქვთ დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა და უფრო მეტად განეკუთვნებიან სიღარიბეში ცხოვრების მაღალი რისკის ჯგუფს. იმისათვის, რომ დისკრიმინაცია დასრულდეს ყველა ქალისა და გოგონას მიმართ, აუცილებელია SDG – ების ფარგლებში შემუშავებული ეროვნული პოლიტიკა და ჩარჩოები მოიცავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსაც და გოგონებსაც.

- ქალთა მიმართ არსებული ძალადობის ყველა ფორმისა და საზიანო პრაქტიკის აღმოფხვრა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები უფრო მეტად განეკუთვნებიან ძალადობისა და ექსპლოატაციის მაღალი რისკის ჯგუფს, ვიდრე შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე ქალები. შესაბამისად ამ ამოცანის განსახორციელებლად გატარებული ზომები უნდა იყოს ინკლუზიური და მოიცავდეს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებსაც.

- აუნაზღაურებელი შრომის აღიარება და დაფასება: ეს მნიშვნელოვანი პუნქტია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებისთვისაც და მამაკაცებისთვისაც, რომლებსაც სჭირდებათ პერსონალური ასისტენტი / მზრუნველი და საჭიროებენ ხელისუფლების მიერ სათანადო მხარდაჭერას. ქალები, როგორც წესი აღნიშნული მუშახელის უმრავლესობას წარმოადგენენ და უნდა ღებულობდნენ სამართლიან ანაზღაურებას გაწეული შრომისთვის.

იმ საკანონმდებლო და პოლიტიკური ბლოკების რეფორმირება, რომელიც ხელს უშლის ქალებს ქონდეთ თანაბარი უფლებები ეკონომიკურ რესურსებზე: აღნიშნული მჭიდროდ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები უფრო მეტად განეკუთვნებიან სიღარიბეში ცხოვრების მაღალი რისკის ჯგუფს, რაშიც დიდი წვლილი შეაქვს იმ პოლიტიკას და კანონებს, რომლებიც ხშირად ზღუდავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს აკონტროლონ თავიანთი რესურსები, მათ შორის: მოძველებული კანონები და წინასწარგანწყობები, რომლებიც ხელს უშლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალებს ქონდეთ საკუთარი საბანკო ანგარიშები ან ქონდეთ წვდომა მიკროკრედიტებზე საარსებო საშუალებების მიღებისთვის. რესურსებზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლებების უზრუნველ-